

ფიზიკური ტრავმის მქონე ადამიანებში სტრესორთა გამკლავების და
პიროვნულ ზრდაში წარმატების მიღწევის გზები

ნინო დარბაიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ჯანა ჯავახიშვილი

სამაგისტრო ხელმძღვანელი:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი: როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო დარბაიძე

15/06/2022

აბსტრაქტი:

კონტექსტი: ფიზიკური ტრავმა, შესაძლოა ნებისმიერმა მივიღოთ და მოგვიწიოს მასთან ერთად ცხოვრების გაგრძელება, როგორც კვლევებიდან ჩანს, ამ დროს სრულიად იცვლება ადამიანის დამოკიდებულება გარე-სამყაროს მიმართ (Kroll, Neri & Miller, 2005). გიწევს მოულოდნელად შეცვლილ რეალობასთან შეგუება/ადაპტაცია და ახალი საზრისის ძიება, რამაც შესაძლოა პიროვნულ ზრდას შეუწყოს ხელი.

მიზანი: ნაშრომის მიზანია შევისწავლო მძიმე ფიზიკური ტრავმის შემდგომ ადამიანების ცხოვრებაში არსებულ სტრესორებთან გამკლავების გზები და წარმატებები პიროვნულ ზრდაში.

მეთოდი: კვლევაში გამოყენებულ იქნა თვისებრივი მიდგომა, კერძოდ - ჩაღრმავებული, ინტერვიუს მეთოდი. ინტერვიუები ჩატარდა 18-წლიდან და ზემოთ ასაკის 12 რესპონდენტთან, რომლებსაც აქვთ შეძენილი/მიღებული ფიზიკური ტრავმა, რომლის გამოც აქვთ შეზღუდული მოძრაობის საშუალება. მონაცემები დამუშავდა კონტენტ ანალიზის, კერძოდ - თემატური ანალიზის მეთოდით.

შედეგები: კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურად ტრავმირებულ რესპონდენტებზე, რომელთაც შეეზღუდათ მოძრაობის საშუალება, ზემოქმედებს კომპლექსური სტრესორთა სისტემა სხვადასხვა (ინდივიდუალურ, ოჯახურ, საზოგადოებრივ) დონეზე. ფიზიკურ ტრავმასთან დაკავშირებული მოძრაობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, ადამიანები დასაწყისში გადიან სასოწარკვეთილებისა და უსუსურობის განცდის სტადიას, რასაც თან ახლავს იდენტობის კრიზისი. ამ კრიზისის დაძლევის პროცესში ადამიანები, სოციალური გარემოცვის მხარდაჭერით, პოულობენ/აღმოაჩენენ საკუთარ თავში ახალ უნარებს, ზრუნავენ მათ განვითარებაზე, წარმატების მიღწევაზე, რასაც თან სდევს ცხოვრების ახალი საზრისის განსაზღვრა, ახალი მე-ს მიღება და შესაბამისად, პიროვნული ზრდა.

დასკვნა: ფიზიკური ტრავმა, რომელიც ზღუდავს ადამიანისთვის ჩვეულ ცხოვრების სტილსა და შესაძლებლობებს, მას საკუთარ თავსა და გარემოში ახალი

შესაძლებლობების აღმოჩენისა და აქტუალიზაციის სტიმულს აძლევს და საფუძვლად ედება პიროვნულ ზრდას.

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური ტრავმა, ფსიქოლოგიური ტრავმა, სტრესი, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (პტსა), პოსტტრავმული ზრდა, სტრესორები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (შშმ პირები), პიროვნული ზრდა.

Background: Physical trauma could happen to everyone. Research shows that after it happens human being has to completely change his attitude towards life, and him/herselve (Kroll, Neri & Miller, 2005). You have to adjust to abruptly changed life circumstances, search for a new meaning of your life, and this process might facilitate personal growth.

Objective: The study aims to explore a system of stressors, coping strategies and personal growth among people who experienced severe physical trauma and are using weelchair.

Method: A round of individual in-depth interviews was conducted among the 12 persons (of the age 18+) who are using wheelchair due to experienced physical trauma. The collected data was analyzed by the means of the Contents (thematic) analysis.

Results: The study revealed that people who experienced physical trauma and are in wheelchairs are exposed to the complicated system of stressors (at individual, family and wider social levels). At the beginning of the drastic change of life circumstances they feel despair, does not accept the change and this triggers identity crises. They mourn their loss and feel helpless but with the help of the closest social surrounding they discover new capacities/abilities and work on their development; in parallel they are searching for a new meaning; in case of finding a new meaning, they accept own self, positively solve identity crises and this may trigger personal growth.

Conclusions: Severe physical trauma limits human beings opportunities to go on with the life that they used to live before trauma, but at the same time stimulates a uman beging to search for the new opprotunities as well as own strength, which may catalize personal growth.

Key words: Physical Trauma, Psychological Trauma, Stress, Posttraumatic Stress Disorder (PTSD), Post-traumatic growth, stressors,, Persons with Disabilities, Personal Growth.

მადლობა:

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული შრომისა და დახმარებისთვის, მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილს, რომელიც მუდმივად იყო ჩართული ნაშრომის წერის პროცესში, მაძლევდა რჩევებს და რეკომენდაციებს, მეხმარებოდა ყველა სირთულის დამლევაში. მისი პროფესიული და ადამიანური მხარდაჭერა, ინტენსიური უკუკავშირი და თანადგომა მნიშვნელოვნად დამეხმარა კვლევებისა და ნაშრომის სრულყოფილად ფორმირებაში.

ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ შშმ რესპოდენტს, რომლებიც დამთანხმდნენ გაეზიარებინათ, პირადი ცხოვრების დეტალები და ესაუბრათ იმ სირთულეებზე, რისი გადატანაც ტრავმის შემდგომ მოუხდათ.

და ბოლოს, მადლობა ჩემს კურსელებს თანადგომისა და გამხნეებისთვის.